

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №43

ქ. თბილისი

12.10.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

მამუკა თავხელიძე - რექტორი;

მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მურთაზ კვირკვია - ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანი;

ვასილ კიკუტაძე - ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე;

თამარ გამსახურდია - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია გოგიაშვილი - დაწესებულების პროფესორი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო პატარაია - პროგრამის ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ყაველაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი პაპავა - ბიზნესის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანა თოფურია - ბიზნესის სკოლის კურიკულუმის ექსპერტი;

მარიამ კიკნაველიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო ზარნაძე;

ოთარ ქირია;

მარიამ გრძელიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, მათა გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში შემოსული იყო წერილი აღნიშნული საკითხის განხილვის გადადების მოთხოვნით, ვინაიდან სხდომას ვერ დაესწრებოდა პროგრამის ხელმძღვანელი. საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა და კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის გადადების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომაზე სკაიპით ჩაერთო საერთაშორისო ექსპერტი პანდელის იფსილანდისი, რომელიც გახლდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. მან ისაუბრა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი განცხადებით პროგრამაზე სწავლობდა 9 სტუდენტი, აღნიშნული დროისათვის პროგრამის ფარგლებში დოქტორის ხარისხი მინიჭებული ჰქონდა 6 სტუდენტს, პროგრამამ მისი შემუშავების და განხორციელების შემდგომ განიცადა გარკვეული ცვლილებები, უნივერსიტეტს პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ჰქონდა საერთაშორისო მემორანდუმები, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო რომ 2016 წელს უნივერსიტეტი მიღებულ იქნა ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის აფილირებულ ქსელში (MOC). აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ზრდიდა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პოტენციალს. თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ:

- უნდა გადახედილიყო მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, იმისათვის რომ უფრო თანმიმდევრულად ასახულიყო პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები;
- უნივერსიტეტს უნდა განეხორციელებინა სასწავლო გეგმის რესტრუქტურირაცია, ისე რომ სემესტრს მოეცვა 30 კრედიტი დატვირთვისათვის;
- უნდა დადგენილიყო მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა (ქართული და საერთაშორისო) ან სხვა საშუალებები (მაგ. კონფერენციები და სხვ.) და სტუდენტებისათვის მოეთხოვათ მათი სამეცნიერო ნაშრომების იმ ეტაპისათვის არსებული შედეგების აღნიშნულ ჟურნალებში გამოქვეყნება;
- პროგრამის შემუშავებაში აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულების დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით კვლევითი კლასტერის შემუშავებისას;

- სასწავლო პროგრამაში დამსაქმებელთა რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასურველი იყო პრო-აქტიური მიდგომა სოციალური პარტნიორებისათვის საინტერესო საგნების ერთობლივად განსასაზღვრად და სამაგისტრო პროგრამის ბოლო ეტაპზე სავარაუდო საუკეთესო კანდიდატთა მოზიდვის პროცესის დასაწყებად. აღნიშნული დააინტერესებდა მაგისტრანტებს საგნების იმ თემებით, რომლებიც აინტერესებთ სოციალურ პარტნიორებს და გამოიწვევდა სასწავლო თემების სადოქტორო დონეზე შემდგომი კვლევის აქტუალიზაციას.

- უნივერსიტეტს უნდა მოეხდინა ეროვნული ან საერთაშორისო წყაროების მიერ ფინანსირებული კვლევითი პროექტების პროგრამაში მოზიდვის ძალისხმევის ინტენსიფიცირება. ფოკუსირებული კვლების სფეროების დასადგენად უნივერსიტეტს უნდა სოციალურ პარტნიორებთან და განეხილათ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების ჩატარების შესაძლებლობები. ასევე ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარების შესაძლებლობა უნივერსიტეტის შიგნით.

- უნივერსიტეტს ხელი უნდა შეეწყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ინგლისური ენის უნარების მუდმივი ამაღლებისათვის. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ერთერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა პერსონალის გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო იმპერატიული იყო ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისათვის, ვინაიდან უახლესი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე.

- უნივერსიტეტს უნდა განეახლებინა ბიბლიოთეკა მეტი ონ-ლაინ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, როგორც იყო მაგალითად EBSCO და სხვა გლობალური არქივები.

- პროგრამის მუდმივი სრულყოფისათვის რეკომენდებული იყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება. კერძოდ, უნდა განსაზღვრულიყო, თუ რა სახის კვლევები უნდა ჩატარებულიყო, რა კვლევის მეთოდები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რა პერიოდულობით და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ადგილობრივ ექსპერტს ოთარ ქირიას, ხომ არ ჰქონდა სურვილი გაეკეთებინა განცხადება. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში, როდესაც სტუდენტი არჩევდა თემას, უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი არეალი, რასაც უნდა მორგებოდა სტუდენტი და შესაბამისად მას არ ექნებოდა შესაძლებლობა ემუშავა თავისი ინტერესის სფეროს მიხედვით. შესაბამისად უნივერსიტეტს უნდა მოეძიებინა კანდიდატურა თავის აფილირებულ რესურსში ან მოემეხნა სხვა უნივერსიტეტებიდან შესაბამისი ხელმძღვანელი ასეთი პრეცედენტის დაფიქსირების შემთხვევაში. ასევე სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ როდესაც უნდა გამოექვეყნებინათ ნაშრომი მათ არ იცოდნენ თუ რომელი მეთოდოლოგიით უნდა ემუშავათ. თავმჯდომარეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხელმძღვანელები ვერ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას დოქტორანტებს რის საფუძველზეც მან ჩამოაყალიბა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეწია მონიტორინგი თუ რამდენად სწორად მიდიოდა ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული კონტროლის განხორციელება უნივერსიტეტის მხრიდან იურიდიულად რთული განსახორციელებელი იქნებოდა ვინაიდან ეხებოდა პროფესორის აკადემიურ თავისუფლებას. ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში გახლდათ თავისუფალი და თავად განსაზღვრავდა კვლევის მიმართულებებსაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თავმჯდომარის მიერ მოყვანილ იქნა რამდენიმე მაგალითი ევროპული პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი შეძლებდა აღნიშნული პროცესის კონტროლის განხორციელებას. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო პუბლიკაციების რაოდენობა და ჟურნალების დონე. უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია, რომ

მოეხდინა ჟურნალების სიის ინტერნაციონალიზაცია და დაწესებულებას უნდა ჰქონოდა მეტი ინფორმაცია თუ როგორ მიდიოდა პუბლიკაციების გამოქვეყნების პროცესი. ასევე აუცილებელი იყო განსაკუთრებით ბიზნესის მიმართულებით, რომ ბიბლიოთეკაში ყოფილიყო ხელმისაწვდომი EBSCO -ს არქივი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც ის აკვირდებოდა ქართულ პროგრამებს გარკვეულწილად ეკარგებოდა აზრი მთელ რიგ დარგებში თუ კი სტუდენტს ხარისხის მოსაპოვებლად და კვლევის ჩასატარებლად, მთელი რიგი აქტივობები, მათ შორის პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, ლიტერატურის გამოყენება და ა.შ. უნდა განხორციელებინა ინგლისურ ენაზე. უმჯობესი იქნებოდა უნივერსიტეტს თავიდანვე შეემუშავებინა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეცნიერება არ იყო ქართული, ინგლისური ან ამერიკული, ის გახლდათ კაცობრიობის და იმისათვის რომ მოეპოვებინა პირს მსოფლიო აღიარება, გარკვეული აქტივობები საერთაშორისო ენაზე სავალდებულო იყო.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციიდან გამომდინარე იმისათვის რომ განხორციელებულიყო უფრო თანმიმდევრული შეფასება სასურველი იყო უნივერსიტეტს გაემსხვილებინა სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმისათვის რომ მოეხერხებინათ ქართული მეცნიერული ტრადიციების შენარჩუნება პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფონზე მათ პროგრამაში შეიტანეს რამდენიმე უცხოენოვანი (ინგლისური და გერმანული) კომპონენტი. მათ პროგრამაში გათვალისწინებული ჰქონდათ ბლოკსემინარის ფორმატი ქართულენოვანი და უცხოენოვანი. უცხოენოვან დისციპლინაში არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე პიროვნებები, მათ შორის უცხოელი სპეციალისტიც. შესაბამისად სტუდენტი ირჩევდა იმ პროფესორს და თემატიკას, რომელიც მის კვლევასთან იყო ახლოს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ბლოკსემინარის სილაბუსში პირდაპირ იყო მითითებული, რომ თემატიკა და პროფესურა გახლდათ სავარაუდო. თუ სტუდენტს ექნებოდა სურვილი აერჩია განსხვავებული თემა და ჰყოლოდა სხვა პროფესორი მას ეძლეოდა საშუალება აერჩია, მოემიებინა ხელმძღვანელი უნივერსიტეტის გარეთ რაც არ იზღუდებოდა დაწესებულების მიერ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გარკვეულწილად გაუგებარი იყო პროგრამის მრავალენოვანება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არ იყო მრავალენოვანი, ის გახლდათ ქართულენოვანი, მაგრამ იმიტომ რომ სტუდენტს განვითარებოდა უცხო ენაზე აზროვნების და კომუნიკაციის უნარი, სწორედ ამ მიზნით იქნა შეტანილი უცხოენოვანი კომპონენტი პროგრამაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სწორედ იმიტომ, რომ პროგრამაში ჩადებული იყო უცხოენოვანი ბლოკ სემინარები საჭირო იყო პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაცია. როგორც აღინიშნა საუბარი იყო ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამაზე, სადაც ქართულ მეცნიერებაში ფაქტობრივად თეორიული მიმართულებით ფაქტიურად არაფერი არ არსებობდა. ძირითადად არც არსებობდა მასალის სახით, მაღალი დონის გახლდათ მხოლოდ ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული გარემოება ფაქტიურად აიძულებდა სტუდენტს ემუშავა

უცხოენოვან ლიტერატურასთან და პუბლიკაციებთან რაც ასევე ავალდებულებდა უნივერსიტეტს პროგრამაში ჩაედო უცხო ენის სწავლის კომპონენტები.

საბჭოს წევრი, ირინა გოცირიძე დაინტერესდა გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი სადისერტაციო ნაშრომებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ სადისერტაციო ნაშრომები გახლდათ წარმოდგენილი მცირე რაოდენობით, დაცული იყო მხოლოდ 5 დისერტაცია, რომელთაც ჰქონდათ პოზიტიური შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების ნაწილი ემთხვეოდა უნივერსიტეტის მიერ დასახულ სტრატეგიას, რეკომენდაციებს იზიარებდნენ და ეთანხმებოდნენ ინტერნაციონალიზაციის გაზრდის აუცილებლობასაც. რაც შეეხებოდა ელექტრონულ ბაზებს, მათ ჰქონდათ წვდომა არაერთ ელექტრონულ ბაზასთან, მათ შორის EBSCO-სთანაც, მოცემული მომენტისათვის ხელშეკრულების ვადა იყო ამოწურული რაც აუცილებლად განახლდებოდა. ჰარვარდის უნივერსიტეტთან აფილირების შედეგად მათ ჰქონდათ სრული წვდომა მათ ელექტრონულ ბაზებთან და ასევე ჰარვარდთან მსოფლიო მასშტაბით აფილირებულ 105 ელექტრონულ ბაზასთან. გასულ წელს მათმა დოქტორანტმა შუალედური კვლევა წარადგინა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში უნივერსიტეტში. წელიწადში ერთხელ მათი აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ ვორქშოფებში და ეცნობიან დარგში არსებულ სიახლეებს. ასევე მათი პერსონალი მონაწილეობას იღებდა ერასმუსის პროექტებში. დაწესებულებას ფაქტიურად გათვალისწინებული ჰქონდა რეკომენდაციების ნაწილი და გააგრძელებდნენ მუშაობას სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებაზეც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა პროცენტულად რამდენი სტუდენტი ირჩევდა ქართულ და რამდენი უცხოენოვან სწავლების კომპონენტს. ასევე მან განაცხადა, რომ მისი აზრით პროგრამა წარმოდგენილი თემატიკიდან გამომდინარე უფრო მეტად ორიენტირებული იყო ეკონომიკის მიმართულებაზე. ვინაიდან პროგრამა წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას

აუცილებელია თემატიკის ბიზნესის სფეროს საკითხებით გავალმრავალფეროვნება. დოქტორანტებმა იმიშავონ იმ თემატიკაზე რომლებსაც ანხორციელებენ ან ნერგავენ პრაქტიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანაფარდობა იყო ერთი ერთზე. მათ ჰყავდათ 9 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი. ქართული და ინგლისური კომპონენტის არჩევას შორის ასევე აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ ქართული კომპონენტის არჩევის დროსაც სტუდენტი ვერ გაექცეოდა უცხო ენის გამოყენების აუცილებლობას კვლევიდან გამომდინარე, ვინაიდან მოუწევდა არამხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურის დამუშავება. რაც შეეხებოდა ეკონომიკისკენ გადახრას, თემის განსაზღვრისას რთული იყო მკვეთრი ხაზის გავლება ვინაიდან გარკვეული თემები შესაძლოა მეტად ყოფილიყო აქცენტირებული ბიზნესის ადმინისტრირებაზე ან ეკონომიკის მიმართულებაზე.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ კლასიფიკატორი მკვეთრ განსხვავებას იძლეოდა ბიზნესის ადმინისტრირებასა და ეკონომიკას შორის, შესაბამისად აღნიშნულ შემთხვევაში თუ ბიზნესის ადმინისტრირების ქვეშ წარმოდგენილი იქნებოდა ეკონომიკური თემა ადგილი ექნებოდა აცდენას. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ექსპერტი აქცენტირებას ახდენდა უნივერსიტეტში კვლევითი დღის წესრიგის ჩამოყალიბებაზე. მისი მოსაზრებით აღნიშნული არ წარმოადგენდა აუცილებლობას, გამომდინარე იქედან, რომ ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტებს არ გააჩნდათ იმის რესურსი, რომ მიჰყოლოდნენ მკვეთრად განსაზღვრულ დღის წესრიგს. აღნიშნული საკითხი შესაძლებელი იყო დარეგულირებულიყო უნივერსიტეტში არსებული კომპეტენციის მიხედვით. სპეციალური თემატიკების შექმნა მისი

მოსაზრებით არ იყო საჭირო. რაც შეეხებოდა კვლევითი სტანდარტის მოწესრიგების მიზნით ჟურნალების ნუსხის გაკეთებას, უმჯობესი იქნებოდა ელექტრონული ჟურნალების ბაზების ნუსხის გაკეთება. დაწესებულებას უნდა მოეძებნა ის ბაზა, რომლის სტანდარტსაც აღიარებდა. ჟურნალების სიის გაყოლა წარმოადგენდა რთულ უსასრულო პროცესს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს მოპოვებული ჰქონდა გრანტი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან, რაც მათ ავალდებულებდა ჰქონოდათ წინასწარ განსაზღვრული სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა, თუმცა უნივერსიტეტი იმუშავებდა ელექტრონული ბაზების სიის ჩამოყალიბების მიმართულებითაც.

17:20 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ექსპერტთა ჯგუფის და საბჭოს წევრების მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

17:45 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუბდვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელიზბარ ელიზბარაშვილი.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 2. საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრი (ბურგელანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი - იმ გაცვლითი სტუდენტებისთვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ ბურგელანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის დამატებით მოთხოვნებს)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა სოფიკო ლობჯანიძემ და დიმიტრი ჯაფარიძემ, ვინაიდან დასაქმებულები იყვნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომაზე სკაიპით ჩაერთო საერთაშორისო ექსპერტი პანდელის იფსილანდისი, რომელიც გახლდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. მან ისაუბრა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

- უნდა გადახედილიყო მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გამხდარიყო უფრო თანმიმდევრული და აესახა სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამისათვის. შესაძლებელი იყო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება. უნივერსიტეტს უნდა გაეძლიერებინა პროგრამის სწავლის შედეგები საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სფეროში. ასევე განხილული უნდა ყოფილიყო კურსის სწავლის შედეგები და დაწესებულებას უნდა გაეგრძელებინა განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის კურიკულუმის ექსპერტებთან ერთად.

- დაწესებულებას უნდა გაეძლიერებინა პროგრამის შინაარსი მონაცემთა მეცნიერებისა და საინფორმაციო მხარდაჭერის სისტემების სფეროში ბიზნეს ოპერაციებისა და სტრატეგიისათვის. ასევე უნდა შეემუშავებინათ და შეეტანათ პროგრამაში პროექტის მართვისა და რისკის მართვის კურსები.

- სამაგისტრო ნაშრომის პროექტი უნდა შესრულებულიყო ინდივიდუალურად. გამოკითხულ დამსაქმებლებს სურვილი ჰქონდათ წვლილი შეეტანათ სამაგისტრო ნაშრომის

პროექტებში იმ მონაცემებისა და პრობლემური სფეროების უზრუნველყოფით, სადაც სტუდენტის კვლევას შესაძლოა მოეტანა შედეგი.

- დაწესებულებას უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სტუდენტს მიეღოს აკადემიური წერის უნარების სათანადო ტრენინგი, მანამ სანამ შეუდგებოდა სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე მუშაობას. ამასთან ერთად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესს უნდა დაედგინა დეტალური ბიბლიოგრაფიული მოთხოვნები (მაგ; ინტერნეტ-წყაროების დასახელებისგან თავის არიდება შესაძლებლობის ფარგლებში, უფრო მეტად სამეცნიერო წყაროების, ახალი წიგნების გამოყენება, და ა.შ.) და წყაროს დასახელების კონკრეტული სტილის ინსტრუქციები (თუ დადგენილი იყო, რომ დაცულ უნდა ყოფილიყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ციტირების წესი, მაშინ ეს კიდეც ერთხელ უნდა ყოფილიყო აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის რეგულირების დოკუმენტში, რადგან თვალსაჩინო იყო წყაროების/ციტირების განსხვავებული სტილი)

- დაწესებულებას უნდა ჰყოლოდა დამატებითი კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც დასჭირდებოდათ სტუდენტების დასახმარებლად ინდივიდუალური სამაგისტრო ნაშრომების წერის დროს.

- დაწესებულებას უნდა ჩამოეყალიბებინა მექანიზმი შეფასების მეთოდების შესატყვისობის უზრუნველსაყოფად სამაგისტრო პროგრამის დონესთან.

- დაწესებულებას უნდა გაეძლიერებინა გუნდური მუშაობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის და აქცენტი გაეკეთებინა უფრო მთლიან პროგრამაზე, ვიდრე ინდივიდუალურ საგნებზე. პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელი იყო, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონოდა მიკუთვნებულობის განცდა პროგრამასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრათ რეკომენდაციებში გაუღერებულ აკადემიური წერის საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური წერა პროგრამაში გათვალისწინებული იყო არჩევითი კომპონენტის ფარგლებში, ვინაიდან პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების პირველ საფეხურზე შესაძლო იყო გავლილი ჰქონოდა აკადემიური წერა. კურიკულუმი აგებული იყო იმ პრინციპით, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი ყოფილიყო სტუდენტის საჭიროებებზე მორგება, კურიკულუმი სინქრონიზაციაში იყო ბურგენლანდის უნივერსიტეტის კურიკულუმთან, გაკეთდა თავსებადობა და მათი მხრიდანაც განხორციელდა პროგრამის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიურ წერის ცენტრში სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა გაეგო ტუტორიალი, აეტვირთა ნაშრომი მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი და მიეღო უკუკავშირი და კომენტარები ორგანიზაციასთან დაკავშირებით. სტუდენტს მიეწოდება დიდი სერვისი უნივერსიტეტს მხრიდან აკადემიური წერის უნარების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური წერის ცენტრი ახორციელებს სემინარებს და სწრაფ კურსებს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ეხმარება სტუდენტს ნაშრომის გაფორმების პროცესში. შესაბამისად ექსპერტების რეკომენდაციაზე დაყრდნობით აკადემიური წერის კურსი იმ სტუდენტებს ვისაც არ ექნებოდა გავლილი აკადემიური წერა შესთავაზებდა აკადემიური წერის ინტენსიურ კურსს. აღნიშნული კომპონენტი შეთავაზებული იყო მხოლოდ აღნიშნული პროგრამისათვის და ზოგადად ბიზნესის სკოლისათვის.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა თუ როგორ უმკლავდებოდა ცენტრი სტუდენტების დიდ რაოდენობას იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური წერის კურსი არ იყო სავალდებულო და შეიძლება ქონდა ადგილი ისეთ შემთხვევას როდესაც პრაქტიკულად ყველა სტუდენტს აერჩია აღნიშნული სერვისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური წერის ცენტრი დაარსდა 2014 წელს, ონლაინ აქტივობების რეჟიმი ხორციელდებოდა 2015 წლიდან, პროგრამების უმრავლესობისათვის აკადემიური წერა გახლდათ სავალდებულო. ასევე დაწესებულებას რესურსი აკადემიური პერსონალის სახით ვინც უზრუნველყოფდა აღნიშნულ კურსს. იმ სტუდენტებს, რომელთაც არ ექნებოდათ გავლილი აკადემიური წერა შეეძლოთ აერჩიათ სწრაფი კურსი, რომელშიც მათ არ მიენიჭებოდათ კრედიტი. თუ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებდა აკადემიურ წერას არჩევით ბლოკში მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიენიჭებოდა სტუდენტს 6 კრედიტი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას მოსწონდა აღნიშნული მოდელი და მიიჩნევდა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტს აღარ უნდა გაეწეოთ აკადემიური წერის კურსი. მას ასევე აინტერესებდა ხელმძღვანელის როლი აკადემიურ წერასთან მიმართებით, ეხმარებოდა თუ არა ის სტუდენტს აღნიშნულ საკითხში, ვინაიდან ეს გარკვეულწილად იყო მისი პრეროგატივა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელები აქტიურად იყვნენ ჩართულები თემის გაფორმების პროცესში. აკადემიური წერის ცენტრი სტუდენტს ეხმარებოდა მხოლოდ ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფაში როგორც იყო ციტირება, ბიბლიოგრაფია და ა.შ. ცენტრი არ ერეოდა თემის შინაარსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულებას. მისი განცხადებით თემაზე შეიძლება ემუშავა მაქსიმუმ სამ სტუდენტს.

ექსპერტმა, ნინო ზარნაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაიწერა იქედან გამომდინარე, რომ სამაგისტრო ნაშრომები მეტწილად სრულდებოდა ჯგუფურად. ჯგუფში შედიოდა 2-3 სტუდენტი. ექსპერტების მოსაზრებით სამაგისტრო ნაშრომი გახლდათ ინდივიდუალური ნაშრომი, რომელიც პერსპექტივაში შესაძლოა გამხდარიყო სადოქტორო ნაშრომის საფუძველი. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი უნდა მომზადებულიყო ერთი პირის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ჯგუფური ნაშრომები გამოწვეული იყო ხელმძღვანელების დეფიციტით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ჯგუფური ნაშრომები მიღებული იყო ბიზნესის სკოლებში, რაც სტუდენტებს უვითარებდა ჯგუფური მუშაობის უნარს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების სპეციფიკა, მოცემული პრინციპი სტუდენტებს უვითარებდა არა მხოლოდ ჯგუფური მუშაობის უნარს არამედ კვლევითი კომპონენტის შესრულებით მათ უვითარდებოდათ კვლევის უნარიც.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთ ჯგუფებში მუშაობდა მხოლოდ ერთი და დანარჩენი წევრები არ იყვნენ აქტიურად ჩართულები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როდესაც მოხდა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება, ვერ დადასტურდა თითოეული სტუდენტის წვლილი. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს

გაჟღერებული იყო პრობლემა იმის თაობაზე, რომ ხანდახან არ ხდებოდა სრულყოფილი შეფასება. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მას უფრო მეტად ჰქონდა ნამუშევარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავდა 30 კრედიტს, სტუდენტები ყოველ კვირა ხდებოდნენ ხელმძღვანელს, ყოველ ეტაპზე ხდებოდა კვლევის დაგეგმვა და გადანაწილება. საბოლოო შეფასების დროს ფასდებოდა როგორც ნაშრომი მთლიანობაში ასევე თითოეული სტუდენტის კონტრიბუცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ 30 კრედიტი შეადგენდა 750 საათს. რაც მისი აზრით ბიზნესის ადმინისტრატორების სამაგისტრო ნაშრომისთვის გაუმართლებლად დიდი დატვირთვა იყო. უბრალოდ სამაგისტრო ნაშრომი ესეთი მოცულობის დატვირთვას არ საჭიროებს. უმჯობესი იქნებოდა თუ კი მოხდებოდა დატვირთვის შემცირება და კრედიტები და შესაბამისი დატვირთვა გადანაწილდებოდა სხვა საგნებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის და სტუდენტების ინდივიდუალური შეფასების დროს ხელმძღვანელს ჰქონდა შესაძლებლობა განსხვავებული ქულა დაეწერა სტუდენტისათვის. ასევე მათ შემუშავებული ჰქონდათ სამაგისტრო კონცეფცია, მიმდინარეობდა მუშაობა ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრაზე, ასევე ტარდებოდა მასშტაბური კვლევა, კითხვარები გაეგზავნათ სტუდენტებს, ხელმძღვანელის ნაწილში გაკეთდა პროტოკოლი, შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდებოდა ანალიზი. პროგრამა როგორც აღინიშნა ხორციელდებოდა ბურგენლანდის უნივერსიტეტთან ერთად და მიმდინარე სემესტრიდან გაიწერა კრიტერიუმები სტუდენტების სამუშაოს გადანაწილების ჯგუფში და როგორ მოხდებოდა მათი ინდივიდუალური შეფასება. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება მიიღებდა გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულიყო ინდივიდუალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა მათი აკადემიური მოწვეული პერსონალის გადამხადება ინდივიდუალური ხელმძღვანელობის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი მაგისტრი მოდიოდა ერთ აკადემიურ პერსონალზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ განსაზღვრული ჰქონდათ რომ ერთ პროფესორს უნდა ეხელმძღვანელა არაუმეტეს ოთხი ნაშრომისათვის, ასევე სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელი იყო ჰყოლოდა თანახელმძღვანელიც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების მხრიდან ხელმძღვანელის არჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტები აყალიბებდნენ ჯგუფს ორი ან სამი სტუდენტისაგან, იმის მიხედვით თუ რა თემაზე აპირებენ ნაშრომის განხორციელებას წერდნენ შეთავაზებას და ამის შემდეგ ხელმძღვანელი წარადგენდა თანხმობას.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის მოცულობით, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომს ეთმობოდა 30 კრედიტი თუ მოხდებოდა ჯგუფში არსებული სტუდენტების ინდივიდუალური 30 კრედიტის შეფასება გავდიოდით გაუმართლებლად დიდი მოცულობის საათებზე. შესაბამისად საინტერესო იყო სამ კაციანი ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო უტოლდებოდა თუ არა ორ კაციანი ჯგუფის მიერ შესრულებულა ან ერთი პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოცულობა ჯგუფურ ნაშრომისა არის იგივე რაც ერთი სტუდენტის მიერ შესრულებული თემისა. დეტალურად იყო გაწერილი ინდივიდუალური და ჯგუფური კომპონენტების შეფასება.

საბჭოს წევრი, ნატო გენგეური დაინტერესდა თუ როგორ იზომებოდა 2-3 კაციან ჯგუფში თითოეული წილი და შესრულებული სამუშაო. იმ საათებიდან რომელიც ყო კრედიტების ექვივალენტი, ყველა საათი სრულდებოდა თითოეული სტუდენტის მიერ თუ როგორ ხდებოდა სამუშაოს გადანაწილება იმისთვის რომ შეფასებულიყო ობიექტურად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომს ჰქონდა დასკვნები რომლის საფუძველზეც საბოლოო ჯამში ფასდებოდა ნაშრომი. მოცემულ შემთხვევაში დასკვნა იქნებოდა ერთი. თუ დასკვნა იქნებოდა ერთი შიგნით რატომ ფიქსირდებოდა სხვადასხვა შეფასება. რა კრიტერიუმებით ხდებოდა სამკაცრიანი ჯგუფის განსხვავება მაშინ როდესაც მივიდნენ ერთ დასკვნამდე. საინტერესო იყო როგორ ნაწილდებოდა ინდივიდუალური წილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჭირდებოდათ კიდევ უფრო მეტად დაეხვეწათ კრიტერიუმები იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ინდივიდუალური სტუდენტის კონტრიბუციის განსაზღვრა. ამ მიზნით უნივერსიტეტი ატარებდა შიდა საუნივერსიტეტო კვლევას. ნაშრომი, როგორც პროდუქტი ვერ შეფასდებოდა სხვადასხვა კრიტერიუმებით, ამიტომ გეგმავდნენ გაეზარდათ ინდივიდუალური სტუდენტის შეფასების მაჩვენებელი და კრიტერიუმები და ასე დაებალანსებინათ მათი დონე შეფასებაში. დაწესებულება ეყრდნობოდა საერთაშორისო პრაქტიკას ძირითადი პროდუქტების და ნაშრომების თვალსაზრისით რაც ხორციელდებოდა ჯგუფურად, აღნიშნული მეთოდის გამოცდილება დაწესებულებას ჰქონდა სან დიეგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად მიღებული.

18:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 19:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ექსპერტთა ჯგუფის და საბჭოს წევრების მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს რეკომენდაციები:

დაწესებულებას 6 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ანგარიში, რომელშიც ნათლად იქნება გაჩერილი და დასაბუთებული, თუ როგორ შესრულდებოდა 30 კრედიტის დატვირთვა ინდივიდუალურად სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება უნდა გადასულიყო ინდივიდუალურ სამაგისტრო ნაშრომებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ 19:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ 19:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი

ლევან გორდეზიანი